## საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება № 01- 10/91

ქ. ბათუმი 6 სექტემბერი, 2022 წელი

**ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, ქ. ბათუმში, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N32/35 მდებარე შენობის/მეორე კორპუსის სარდაფში კომერციული სავაჭრო ობიექტის - წიგნების/საკანცელარიო საქონლის მაღაზიის მოწყობისათვის, 16,8 კვ.მ. ფართის იჯარით სარგებლობისათვის, ქირისა და ელექტრონული აუქციონის პირობების განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №07-01/13 გადაწყვეტილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 25 ივლისის MES 1 22 0000840343 და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 22 ივლისის № 5/41277 თანხმობის წერილების, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 6 სექტემბრის MES 7 22 0001010817 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გაიცეს იჯარით, **ორი წლის** ვადით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ბსუ-ს N2 კორპუსის სარდაფში (მდებარე ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32) 16.8 კვ.მ. ფართი პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.
2. ელექტრონული აუქციონის გამოცხადების მიზნით განისაზღვროს:
   ა) საწყისი წლიური საიჯარო ქირა დღგ–ის ჩათვლით - 1200 ლარის ოდენობით;

ბ) ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე - 120 ლარის ოდენობით;

გ) ბიჯი - 100 ლარის ოდენობით.

3. ელექტრონული აუქციონის პირობები განისაზღვროს წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
4. ელექტრონული აუქციონის დაწყება/დასრულებისათვის განისაზღვროს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ვადა.
5. დაევალოს უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს უზრუნველყოს აუქციონის გამოცხადება შესაბამისი კანონით დადგენილი ფორმით ვებ-გვერდზე - www.eauction.ge.
6. დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების და აუქციონის შესახებ ბსუ-ს განცხადების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. ბრძანება დაეგზავნოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და რექტორის აპარატს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **იაკინთე ჩხარტიშვილი**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის

2022 წლის 6 სექტემბრის N 01-10/91 ბრძანების N1 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ბსუ-ს N2 კორპუსის სარდაფში (მდებარე ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32) 16,8 კვ.მ. ფართის **2 წლის ვადით იჯარით სარგებლობაში გაცემისათვის გამოსაცხადებელი ელექტრონული აუქციონის პირობები:**

1. იჯარით აღებული ფართი გამოყენებული უნდა იქნას წიგნების/საკანცელარიო საქონლის მაღაზიის მოსაწყობად;
2. მოიჯარე ვალდებულია იჯარით აღებულ ფართზე გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, რისთვისაც უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგიის მრიცხველის განმხოლოება (ცალკე აბონენტად ან ქვეაბონენტად დარეგისტრირება) საკუთარი ხარჯებით;
3. მოიჯარე ვალდებულია დაიცვას ეკოლოგიური, სანიტარულ–ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები;
4. მაღაზია უნდა ამოქმედდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კვირის ვადაში.
5. იჯარით სარგებლობაში გაცემის ვადაა 2 წელი.
6. საიჯარო ქირის გადახდა იწარმოებს ყოველთვიურად, თანაბარწილად, <u>არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა;</u>
7. მოიჯარე ვალდებულია დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები.
8. მოიჯარეს შეტანილი ბე ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობაში, საბოლოო ანგარიშსწორებისას.
9. მეიჯარე უფლებამოსილია ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმის გარეშე ვადამდე გააუქმოს (ვადაზე ადრე შეწყვიტოს) საიჯარო ხელშეკრულება:

   ა) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების (არანაკლებ 2 ფაკულტეტის საბჭო, 2 ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეული და სტუდენტური თვითმართველობა) მოტივირებული მოთხოვნის შემთხვევაში, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
   ბ) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში (მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში);
   გ) საიჯარო ქირის 2 თვის დავალიანების შემთხვევაში.